განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ტრანსპორტი“

მაგისტრატურა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 16, 19, 20 აპრილი 2021 წელი.

დასკვნის წარდგენის თარიღი - 25 მაისი 2021 წელი.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**211349192**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ტრანსპორტი**
უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი Master of Transport Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები / Motor vehicles, ships and aircraft, 0716
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	–
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება N 493.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯუმბერ ჩოგოვაძე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაზა ჟორჟოლიანი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მზევარ გოგილავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურის უფროსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის დირექტორი, დოქტორანტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ტრანსპორტი, როგორც ნებისმიერი ქვეყნისათვის, ასევე საქართველოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს და პრიორიტეტულ დარგს. იგი ნებისმიერი ადამიანისთვის წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და აუცილებელ საშუალებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ წარმოადგენს მოქმედი აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამის „ტრანსპორტი“ მოდიფიცირებულ ვერსიას, რომელშიც აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში განხორციელდა შინაარსობრივი ცვლილებები.

2012 წლიდან, მაგისტრატურის საგანმანთლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, „საავტომობილო ტრანსპორტი“-ს და „სარკინიგზო ტრანსპორტი“-ს დეპარტამენტების ბაზაზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, 14 პროფესორია), 8 მოწვეული პერსონალი (აქედან 7 მოწვეულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგი“-ის შესაბამისად (https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Technical-University.php).

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს და მოიცავს პროგრამის სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, ორ კონცენტრაციას, პრაქტიკას და კვლევით კომპონენტს შემდეგი თანაფარდობით: სავალდებულო სასწავლო კურსები 34 კრედიტი, უცხოური (ინგლისური) ენა 10 კრედიტი; პრაქტიკა 8 კრედიტი; ორი კონცენტრაცია - თითოეული 68 კრედიტი (მათ შორის, კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი (შემდგომში - ვიზიტი) განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანებით №321370 5.04.2021წ. შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი ან ექსპერტები) მიერ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 16, 19 და 20 აპრილს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით (16 აპრილს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა კომბინირებული ფორმით - ადგილზე ვიზიტით და დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით).

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტებს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად; ვიზიტის წინ (15 აპრილს) ჯგუფის წევრებმა დამატებით განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის (დღის წესრიგის) მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, ასევე ვიზიტის განმავლობაში ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები), გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხები სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ სააკრედიტაციო შეფასების დასკვნის პროექტზე,სადაც აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის საინიციატივო ჯგუფი ეთანხმება ექსპერტთა დასკვნას ხუთივე სააკრედიტაციო სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. არის ზოგიერთ რეკომენდაციასთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;
  - სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 2.1, 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 2.6 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის ყველა კომპონენტი (3.1. და 3.2.) შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 4.1, 4.2, 4.4, და 4.5 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 4.3 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 5.1 და 5.3. კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. კონცენტრაციის შესაბამისი სწავლის შედეგი უფრო მკაფიოდ იქნას გაწერილი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (მ.6, პ.7) მიხედვით
2. გასწორდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია;
3. სილაბუსებში (მაგ., „სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები“; „სარკინიგზო დისკრეტული მოწყობილობები“) მიეთითოს შეფასების კრიტერიუმები და ქულათა რანჟირება.
4. აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლება და ლაბორატორიები აღჭურვოს შრომისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ელემენტებით. სასურველია შესაბამის ღონისძიებები შესრულდეს მომდევნო სასწავლო წლისათვის.
5. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან, განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში.
6. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის მდგომარეობის და უსაფრთოხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესიის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში იმ არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.
7. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. მაგისტრატურის დებულებაში (მ.6, პ.6.8) არსებული ჩანაწერის შესაბამისად, სასურველია პროგრამის წინაპირობებში დაკონკრეტდეს, რომ სავალდებულოა გამოცდა სპეციალობაში.
2. სასურველია „სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკის“ შემთხვევაში შუალედურ შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში პრაქტიკის სპეციფიკასთან (მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან):
3. რადგან პროგრამა ითვალისწინებს ერთი კონკრეტული და არა რამდენიმე (ძირითადი და არაძირითადი) კვალიფიკაციის მინიჭებას სასურველია პროგრამის ჩანაწერში „პროგრამა უზრუნველყოფს ... ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას,“ სიტყვა „ძირითადი“ ამოღებულ იქნას.
4. სასურველია სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის წარმოდგენისას უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალი - 2010 წლის შემდგომი ლიტერატურული გამოცემების გამოყენებას, აგრეთვე ინგლისურ ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოებს.
5. სტუდენტთა მეტი ინფორმირებისათვის საჭიროა გაიწეროს თუ რომელ კვირეებში ტარდება შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები.
6. სასურველია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ინდიკატორების შემოღება და გამოყენება, რათა განისაზღვროს პერსონალისთვის ტრეინინგების საჭიროებები.
7. სასურველია მომდევნო წლის პროგრამის/ფაკულტეტის ბიუჯეტში გაიზარდოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის (ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, კომპიუტერული/პროგრამული უზრუნველყოფა) განახლება-განვითარებაზე მიმართული დაფინანსება.
8. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.
9. მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.
10. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  -

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტრასპორტი“ (შემდგომში - პროგრამა) მიზანია, მოამზადოს დარგის ღრმა ცოდნით აღჭურვილი და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დაპროექტებას და კონსტრუქციულ მოდერნიზირებას; ძრავიანი ტრანსპორტის რესურსის ეფექტიანად შენარჩუნებას რემონტის, დიაგნოსტირების და ტექნიკური ექსპლუატაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე ექსპლუატაციის პროცესში ინოვაციური პროგრესული ტექნოლოგიების კვლევას, დამუშავებას და დანერგვას; მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის თანამედროვე სისტემების დანერგვას და ექსპერტიზას; ძრავიანი ტრანსპორტის ეფექტიანად გამოყენებას და საგზაო ინფრასტრუქტურასთან კომპლექსში მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივების დასახვას; უწყვეტი პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას, თვითრეალიზებას და კარიერული წარმატებისათვის სწავლის გაგრძელებას. პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა (შემდგომში - უნივერსიტეტი) და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) მისიას: „შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა“. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებლების მიერ, არის ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი, ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს, დამსაქმებლების და დარგის განვითარების მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“; 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია https://gtu.ge/AboutStu/Mission.php 3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ. https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php 4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება https://gtu.ge/Stmm/Pdf/FAKULTETIS%20DEBULEBA+.pdf 5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისია https://gtu.ge/Stmm/ 6. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-

7. 7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd
8. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
9. დამსაქმებელთა გამოხმაურებები;
10. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/.
11. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნებს - მათ შორის, ითვალისწიენბს სწავლების ძირითადი სფეროს თავისებურებებს, შეესაბამება კვალიფიკაციის (მაგისტრატურის) დონეს და აერთიანეს ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

სწავლის შედეგები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი, შეესაბამება კურსდამთავრებულთა მიღებული კვალიფიკაციით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტურანტურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის მიზნების შესაბამისად, პროგრამის შედეგებში გაწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებსაც ფლობს პროგრამის კურსდამთავრებული, კერძოდ:

- არგუმენტირებულად აყალიბებს დასკვნებს და კვლევის შედეგებს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენაზე;
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ახალი, ორიგინალური გზების ძიებით და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტით ტრანსპორტის ინჟინერიაში (საავტომობილო და სარკინიგზო) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;
- ეფექტიანად იყენებს ძრავიანი ტრანსპორტის (საავტომობილო და სარკინიგზო) ექსპლუატაციისა და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესში, ინფორმაცი-

ულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიურ რესურსებს პრობლემატური საკითხების სისტემური მიდგომით გადაწყვეტისათვის;

- გეგმავს გადაუდებელ სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს და მათ შემდგომ განხორციელებას სატრანსპორტო მანქანებისა და საწარმოო ტექნოლოგიური ტრანსპორტის დახმარებით და სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემების გამოყენებით;
- განსაზღვრავს ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხოებას საგზაო ინფრასტრუქტურის არსებული პრობლემებისა და მათი განვითარების გათვალისწინებით, მათ ტექნიკურ მდგომარეობას და ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობას;
- სისტემურად აანალიზებს (საავტომობილო, სარკინიგზო) სატრანსპორტო საშუალებათა პროექტირების, დიაგნოსტირების, სერვისისა და საიმედოობის კონცეფციებს, კონსტრუქციულ სრულყოფას ან/და მოდერნიზირებას;
- გადაწყვეტს ძრავიანი ტრანსპორტის ექსპლუატაციის პროცესში კომპლექსურ პრობლემებს მათემატიკური მოდელირების ან სიმტკიცეზე გაანგარიშების მეთოდებით;
- ჩატარებული სათანადო ანალიზისა და კვლევის საფუძველზე, ძრავიან ტრანსპორტზე უსაფრთხოებისა და ავტომატიზაციის თანამედროვე სისტემების დანერგვით აყალიბებს, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელ პრევენციულ კომპლექსურ ღონისძიებებს;
- აფასებს ექსპლუატაციის კონკრეტულ პროცესში არსებულ პრობლემებს საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა განვითარების პერსპექტივებს მულტიდისციპლინარულ გარემოში მათი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობებს.

პროგრამის შედეგებში გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და საქართველოს შრომის ბაზარზე ამ კვალიფიკაციის და კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მოთხოვნილება, რაც პროგრმის კურსდამთავრებულს აძლევს შესაბამისი კვალიფიკაციით დასაქმების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წარმოდგენილ სქემაში მოცემულია შეფასების რუბრიკები და სამიზნე ნიშნულები. პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება მოიაზრებს პირდარირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას: სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს, ხოლო არაპირდაპირ მტკიცებულებებად კი გამოიყენება დასაქმების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, გამოკითხვების და ფოკუსჯგუფის ინტერვიუების შედეგები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკის მიხედვით. შეფასებაში ჩართული არიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აგრეთვე სტუდენტები, კურსდამთვრებულები და დამსაქმებლები. ასევე, სასწავლო პროცესის და პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს სტუ-ს აკადემიური პერსონალისაგან შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების საფაკულტეტო კომისია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუდან დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნებზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებაზე დაყრდნობით, ამ პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებები, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. ამავდროულად, სასურველია დაინტერესებულ მხარეთა უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“; https://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf;
2. „ტრანსპორტი“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართი (პროგრამის

3. სწავლის შედეგის და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა);
4. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
5. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
6. დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის კვლევა;
7. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
8. ფაკულტეტის და დეპარტამენტის ოქმები;
9. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/;
10. რექტორის ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების
11. შესახებ";
12. კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
13. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd
14. დასამატებელია სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილები

რეკომენდაციები

კონცენტრაციის შესაბამისი სწავლის შედეგი უფრო მკაფიოდ იქნას გაწერილი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" (მ.6, პ.7) მიხედვით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების (საერთო სამაგისტრო გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები) შედეგების საფუძველზე, თუმცა პროგრამის კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არ არის მითითებული, რომ სავალდებულოა გამოცდა სპეციალობაში. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე https://gtu.ge/Study-Dep/. გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი, ან უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი B2 დონის ათვისების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ პირმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი, მან უნდა ჩააბაროს გამოცდა უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში უცხოურ (ინგლისურ) ენაში. კურიკულუმში მითითებულია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. პროგრამის დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე ჩარიცხვის და მობილობის წესით გადმოსვლის/ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, ჩარიცხვის შესახებ პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე სიახლეების ველში, სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/ და ფაკულტეტის ვებგვერდზე. კურიკულუმში მითითებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და აპლიკანტების მიერ გასავლელი პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება“; 2. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/29 დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია” https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php; 3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ პროგრამა; 4. გამოკითხვების შედეგები; 5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/

6. მაგისტრატურის დებულება.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მაგისტრატურის დებულებაში (მ.6, პ.6.8) არსებული ჩანაწერის შესაბამისად, სასურველია პროგრამის წინაპირობებში დაკონკრეტდეს, რომ სავალდებულოა გამოცდა სპეციალობაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად. ითვალისწინებს უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით დარგის სპეციფიკასა და სიახლეებს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და ლოგიკურია, პროგრამის კომპონენტების შესწავლის თანმიმდევრობა ითვალისწინებს პრინციპს ზოგადიდან - კერძოსკენ და უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი პროგრამის შედეგების მიღწევას, რასაც ასევე იმსახურება შემადგენელი პროგრამს კომპონენტების შინაარსი.

პროგრამა შედგება სწავლის ძირითადი სფეროს შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, ორი კონცენტრაციის, პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტისაგან შემდეგი თანაფარდობით:

- სულ სავალდებულო 120 ECTS კრედიტი;
- სავალდებულო სასწავლო კურსები – 34 ECTS კრედიტი;
- არჩევითი სასწავლო კურსები – 10 ECTS კრედიტი;
- თითოეული კონცენტრაცია -68 ECTS კრედიტი, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი;
- სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკა – 8 ECTS კრედიტი.
- პროგრამის სასწავლო კურსები სტუდენტს გამოუმუშავებს პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო კომპეტენციებს. სამაგისტრო სატრანსპორ-

ტო პრაქტიკის დანიშნულებაა სტუდენტს გააცნოს მომავალი პროფესიული საქმიანობის გარემო, მისცეს საშუალება შეაჯამოს უნივერსიტეტში მიღებული განათლება, გაუძლიეროს პრაქტიკული უნარები და შეაგროვოს მასალები სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა სტუდენტს გამოუმუშავებს უნარს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად დაგეგმოს და გადაწყვიტოს დარგისთვის აქტუალური ამოცანა, პროფესიულ საზოგადოებას წაუდგინოს ანგარიში როგორც წერილობით, ისე პრეზენტაციის სახით, ჩაერთოს დისკუსიაში და შეძლოს არგუმენტირებულად დაასაბუთოს მიღებული შედეგები. პროგრამაში შემავალი არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაიფართოვოს ცოდნის არეალი და გამოიმუშავოს უნარები მათი ინტერესების შესაბამისად.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, პროგრამის განმახორციელებელმა მოწვეულმა პერსონალმა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა. პროგრამის განხილვა მიმდინარეობდა დეპარტამენტის სხდომებზე. ფაკულტეტის ვებგვერდზე პროგრამის განთავსებით იყო უზრუნველყოფილი ყველა დაინტერესებული პირისთვის პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ხელმისაწვდომობა და გაცნობის შესაძლებლობა.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ითვალისწინებს ერთი კონკრეტული კვლიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას. ამავდროულად, პროგრამის აღწერაში არსებობს ჩანაწერი: პროგრამა უზრუნველყოფს ... „ძირითადი კვალიფიკაციისთვის“ საჭირო შედეგების მიღწევას, რაც საჭიროებს კორექტირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის დანართი);
4. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,
5. შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Technical-University.php;
6. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
7. აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დარგის სპეციალისტების გამოკითხვის შედეგები;
8. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. რადგან პროგრამა ითვალისწინებს ერთი კონკრეტული და არა რამდენიმე (ძირითადი და არაძირითადი) კვალიფიკაციის მინიჭებას სასურველია პროგრამის ჩანაწერში „პროგრამა უზრუნველყოფს ... ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას,“ სიტყვა „ძირითადი“ ამოღებულ იქნას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ (შემდგომში - პროგრამა) თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია ამ სასწავლო კურსის შედეგებთან, პროგრამის სავალდებულო კომპონენების შედეგები - ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) დონესთან. სასწავლო კურსების სპეციფიკის შესაბამისია სილაბუსებში მითითებული: მოცულობა კრედიტებში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, სწავლა-სწავლების მეთოდები, სტუდენტთა აქტივობები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. აღნიშმული უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას.

სასწავლო კურსის შესწავლა უზრუნველყოფილია უახლესი ქართული და უცხოური ლიტერატურით, რომელიც დაფუძნებულია ტრასნპორტის დარგის აქტუალურ საკითხებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული ძირითად ლიტერატურის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის, სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული კატალოგების საშუალებით. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია ამ სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსის, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენების საჭიროების, ასევე შესასწავლი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება მიმდინარე აქტივობების, შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის კომპონენტებით, რომელთა შორის თანაფარდობა არის 30%, 30%, 40%. ყველა სილაბუსში ასახულია სწავლის შედეგები და შეფასების რუბრიკები. პრიორიტეტულად გამოიყენება ტესტური, აქტივობის, ზეპირი გამოკითხვის, დისკუსიის, ქვიზის, დავალების შესრულების რუბრიკები.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამაში არსებულ სწავლის შედეგებთან, რაც დასტურდება პროგრამის დანართში - პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის სახით.

სილაბუსების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ: სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული თუ რომელ კვირეებში ტარდება შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები; 2) სასწავლო კურსებში („ელექტრული წევა და ელექტრომოძრავი შემადგენლობის ავტომატიზაცია“, „სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები“, „მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომოძრავი შემადგენლობა ასინქრონული ამძრავით“) მითითებული ლიტერატურა ძირითადად ახალი გამოცემებისაა, თუმცა ზოგიერთ დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია 1974-1988 რუსული გამომცემლობის სახელმძღვანელოები; 3) შეინიშნება უცხოური (ინგლისური) ლიტერატურის სიმცირე; 4) დანართში 2 წარმოდგენილია „ავტომობილების ეკოლოგიურობის ანალიზი“ ორი სხვადასხვა ავტორის მიერ შესრულებული სილაბუსი; 5) ზოგიერთ სილაბუსში შეიმჩნევა თემების და ლიტერატურის ნაწილობრივი თანხვედრა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ (პროგრამის დანართი - პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა);
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
4. დამსაქმებელთა, სტუდენტების და კურსდამთავრებულთაგამოკითხვის შედეგები;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა http://opac.gtu.ge/, http://gtu.ge/Library/Cifruli_bibl/cifruli.php.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის წარმოდგენისას უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალი - 2010 წლის შემდგომი ლიტერატურული გამოცემების გამოყენებას, აგრეთვე ინგლისურ ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოებს;
2. სტუდენტთა მეტი ინფორმირებისათვის საჭიროა გაიწეროს თუ რომელ კვირეებში ტარდება შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ (შემდგომში - პროგრამა) თეორიული ცოდნის პარალელურად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკა, სამუშაო/პროექტები და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სასწავლო კურსების თემატიკა, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები სტუდენტებს უვითარებენ პრაქტიკულ უნარებს. პრაქტიკული უნარების განმტკიცებისათვის პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს (8 კრედიტი), რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე შესაბამისი მემორანდუმების და ხელშეკრულებების საფუძველზე.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად (პრაქტიკის ხელმძღვანელი უნივერსიტეტიდან აკონტროლებს პრაქტიკის სრულყოფილ ჩატარებას, რაც ითვალისწინებს პრაქტიკის ჩატარების ადგილზე ვიზიტებს. პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიმღები დაწესებულება გამოყოფს მენტორს, რომელიც განახორციელებს დაწესებულებაში სტუდენტთა ზედამხედველობას, და სხვ.), რაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა, ისე დამსაქ-

მებლებმა - პრაქტიკის გავლის ობიექტების წარმომადგენლებმა.

როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლების და სტუდენტების ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებში და ა.შ. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ფაკულტეტებზე მუშაობს სექციები, რომლებშიც მაგისტრანტებთან ერთად ჩართულნი არიან ბაკალავრიატის და დოქტორანტურის სტუდენტები. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ხდება გამარჯვებულების გამოვლენა კომპეტენტური ჟიურის მიერ. გამარჯვებული მოხსენებების თეზისები იბეჭდება კონფერენციის მასალებში, I,II,III ადგილზე გასული სტუდენტები ჯილდოვდებიან სიგელებით.

უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე პერიოდულად გამოდის რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, სადაც ქვეყნდება სტუდენტების სამეცნიერო სტატიები და ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგები. ასევე, ყოველწლიურად გაზაფხულზე უნივერსიტეტში და, შესაბამისად, ფაკულტეტზე ტარდება „სტუდენტური დღეები“, რაშიც მონაწილეობენ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები;
2. პრაქტიკის მემორანდუმები;
3. სტუ-ის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/praqtika_18_SD.pdf;
4. სტუდენტთა ჩართულობა ღია საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენცია https://gtu.ge/Science/Conference/12432/.
5. სტუ-ს სამეცნიერო კონფერენციები https://gtu.ge/News/5582/; https://gtu.ge/Science/research/Scientific_conferences.php; https://gtu.ge/News/9424/; https://gtu.ge/News/12365/;
6. სტუ-ს ჟურნალი ,,ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ https://gtu.ge/Stmm/Faculties/jurnali_transporti_manqanatmshenebloba.php

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

„ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) თითოეული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს, ადეკვატურია თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის, დიფერენცირებულია და პასუხობს სასწავლო კურსის შინაარსა და მიზნებს, ორიენტირებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებზე და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უშუალო მონაწილეობით, ისე სტუდენტის დამოუკიდებელად შესრულებული სამუშაოებით. სწავლების მეთოდების შერჩევით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სტუდენტს ეხმარება არა მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესახებ ცოდნის მიღებაში, არამედ უზრუნველყოფს ზოგადი/ ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ასევე, შერჩეული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობაზე. წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა), სწავლება სწავლის და კვლევის პროცესში მეთოდები და აქტივობები ერთმანეთს ავსებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“;
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები https://gtu.ge/quality/Files/Pdf/GEO%20scavlmetodi.pdf;
4. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება სტუ-ში მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი პროცედურების შესაბამისად. შეფასების სისტემა სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში მოიცავს 2 ფორმას (შუალედურს და დასკვნითს), სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს,

კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, შეფასების კრიტერიუმებით კი დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სასწავლო კურსებში შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი შეფასების ფორმები მოიცავს მისაღწევი შედეგის შეფასებისთვის აუცილებელ სხვადასხვა კომპონენტ(ებ)ს (მაგ., ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, პროექტი და სხვ.).

პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის შეფასება მოიცავს შუასემესტრულ და დასკვნით/დამატებით შეფასებას. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას, ხოლო შუალედური შეფასების ხვედრითი წილი - ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს:

- სტუდენტის მიმდინარე აქტივობა - 30 ქულა;
- შუასემესტრული გამოცდა - 30 ქულა;
- დასკვნითი/დამატებითი გამოცდა - 40ქულა, რომელიც დაძლეულად ითვლება დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური 40 ქულიდან არანაკლებ 21 ქულის მიღების შემთხვევაში.
- შუალედური შეფასებების (მიმდინარე აქტივობების და შუასემესტრული გამოცდის) მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 30 ქულა.

შეფასების სისტემა (ფორმები, კომპონენტები, მეთოდები, სხვ.) გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის გამჭვირვალე, ცნობილი და ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ უზრუნველყოფს შემდეგი გარემოება: მიღებული შეფასებების გაცნობა სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებგვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის მეშვეობით. რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ან მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), რისთვისაც გამოიყენება შეფასებისთვის რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები.

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება საქართველოში მოქმედი 100-ქულიანი სისტემით, რომლის: 1) დადებითი შეფასებებია: (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა; 2) უარყოფითი შეფასებებია: (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შეფასება. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის წესი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის საშუალებით.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას (თითოეულ მათგანს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, რომელიც თან ერთვის მათ პირად ინფორმაციას). საფაკულტეტო კომისია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, ახორციელებს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ანალიზს, არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებენ გარკვეულ რეკომენდაციებს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე გარემოება, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ:

1) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების

წესში (დანართი №03) მითითებული შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, მაგ. მითითებულია: „**3**-4 ქულა - მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია“ / „**3**-2 ქულა - მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია“; „**2**-3 ქულა - კვლევის ცალკეული მეთოდები საკმაოდ ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენება / „**2**-1 - გამოყენებული კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფს სათანადო დონეზე კონკრეტული შედეგების მიღებას“; „**1**-2 - კვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხარვეზებით არის წარმოდგენილი / „**1** – 0 - დასკვნები კვლევის არაადეკვატურია“; „**1**-2 - მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს / **1**-0 - ქულა - სტუდენტმა ვერ შეძლო თემის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის“ და ა.შ.;

2) „სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკის“ შუალედური შეფასების კომპონენტები შეუსაბამოა პრაქტიკის მიზნებთან („სტუდენტს შესძინოს შემდგომი პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარები, მისცეს მას შესაძლებლობა მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულ გარემოში“), რადგან მოიცავს: 1) პრაქტიკის დღიურის წარმოებას (კრიტერიუმები, მაგ. მაქსიმალური 2 ქულა - დღიური სრულადაა შევსებული, შესრულებულია მაღალი ხარისხით, ტერმინოლოგია გამართულია, შინაარსი შეესაბამება პრაქტიკის პროგრამას) და 2) გამოკითხვას (კრიტერიუმეები, მაგ.: მაქსიმალური 2 ქულა - სტუდენტი სრულად აღწერს პრაქტიკის მსვლელობას მოცემულ პერიოდში, მათ შორის კონკრეტულ უბნებს/სამუშაო ადგილებს, ასახელებს ფაქტებს, ტერმინოლოგია გამართულია);

3) რიგ შემთხვევაში არ არის მითითებული სრული ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმებისა და ქულათა რანჟირების შესახებ - მაგ., სასწავლო კურსების „სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები“, „სარკინიგზო დისკრეტული მოწყობილობები“ სილაბუსში მითითებულია მხოლოდ „შესრულდება 1 ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით, 1x10=10“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტრანსპორტი“;
2. სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები);
3. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ სტუ-
4. ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბერის №01-05- 04/254 დადგენილება;
5. სტუ-ის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info
6. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების წესი https://gtu.ge/News/13613/
7. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები https://gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf;
8. სტუ-ში პლაგიატზე შემოწმების წესი: construction.gtu.ge/wp-content/uploads/2018/03/plagiatis_ardebobaze_shemowmebis_wesi.pdf;
9. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი; შეტანილია ცვლილებები აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/268 დადგენილებებით;
10. გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები

1. გასწორდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია;
2. სილაბუსებში (მაგ., „სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები“; „სარკინიგზო დისკრეტული მოწყობილობები“) მიეთითოს შეფასების კრიტერიუმები და ქულათა რანჟირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია „სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკის“ შემთხვევაში შუალედურ შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში პრაქტიკის სპეციფიკასთან (მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებაზე, რაც ხორციელდება არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში, არამედ იმ დამატებითი საკონსულტაციო მომსახურების დახმარებით, რომელსაც უნივერსტეტი და თვითონ ფაკულტეტი უწევს ორგანიზებას. ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება შევხედროდნენ სტუდენტებს, რომლთა უმეტესობა დასაქმებულია უნივერსტეტის დახმარებით უკვე ბაკალავრიატის საფეხურზე. საინტერესო იყო მათი შეფასებები იმითაც, რომ ძირითადი ნაწილი ამავე უნივერსტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულია, რომლებმაც შემდგომ გააგრძელეს ამავე უნივერსტეტში სწავლა. ის, რომ მაგისტრატურაზე მოთხოვნა ნამდვილად მაღალია, მოწმობს პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში) და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობა. ინტერვიუების დროს საკმაოდ ბევრი კითხვა იყო დასმული პროგრამის შესახებ, რაზეც სტუდენტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ეს არის ძალიან კარგი პროგრამა, ორიენტირებუ-

ლია სტუდენტზე იქიდან გამომდინარე, რომ ის ცოდნა, რასაც ისინი იღებენ უნივერსტეტში, ადექვატურია იმისა, რაც ჭირდება შემდგომ დამსაქმებელს. დამსაქმებელთან გასაუბრებისას დადასტურდა ის ფაქტი, რომ უნივერსტეტის კურსდამთავრებულები, მომზადებულნი არიან დასაქამებისათვის. ეს ასევე, გამოწვეულია იმითაც, რომ სტუდენტები პრაქტიკებს გადიან პროგრამის ფარგლებში. თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას, მათ გამოთქვეს სურვილი, რომ უფრო მეტი სამეწარმეო პრაქტიკა იყოს მომავალში, რაც გააძლიერებს პროგრამას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. ეს ფაქტი დაადასტურეს სტუდენტებმა და აღნიშნეს, რომ პერმანენტულად იღებენ ინფორმაციას აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. რამოდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ მონაწილეობას იღებდნენ კონფერენციებში. სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებთანაც ექსპერტებს ქონდათ შეხვედრა, აღნიშნეს რომ სმენიათ გაცვლითი პროგრამების შესახებ, თუმცა მონაწილეობა არ მიუღიათ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს არაერთი ძალიან საინტერესო საერთაშორისო პროგრამა აქვს; მათ აღნიშნეს, რომ დასაქმებულები არიან და ვერ შეძლებდნენ დიდი ხნით სამსახურის დატოვებას, თუმცა მათ აქვთ ინფორმაცია, რომ მათ ფაკულტეტზე სხვადასხვა დროს სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ გამოკითხვებში, რომელიც მათ ეგზავნებათ. ამავე დროს მათ აქვთ საშუალება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საკითხზე მიმართონ ფაკულტეტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაკულტეტი მყისიერ გადაწყვეტილებას იღებს და ეხმარება სტუდენტს პრობლემის დაძლევაში, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან საუბრისას ეს დადასტურდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განმახორციელებლები და ფაკულტეტის წარმომადგენლები ორიენტირებულნი არიან სტუდენტის ინტერესებზე, მათ მოთხოვნებსა თუ ინიციატივებზე. როგორც სტუდენტებმა თქვეს: „ჩვენი ლექტორები და ფაკულტეტი იმდენად მოტივირებულია, რომ მთავარია ჩვენ რაიმე ინიციატივა გვქინდეს ისინი ყოველთვის მზად არიან მხარი დაგვიჭირონ“. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ იმ მეგობრულ გარემოს, რომელიც მათ ფაკულტეტზეა. უნივერსტეტში მატერიალური ბაზების დათვალიერესბისას ექსპერტებს ჰვქონდათ საშუალება უშუალოდ გაეცნოთ პროგრამის განმახორციელებლები და ფაკულტეტის წარმომადგენლები, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროფესორების ასეთმა მონდომებამ და სურვილმა მაქსიმალურად დაეხმარონ სტუდენტს.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პერმანენტულად ტარდება Job Fair, მათ აქვთ საშუალება შეხვდენენ დამსაქმებელს და უშუალოდ მიიღონ იფორმაცია ვაკანსიების შესახებ. ერთ-რთი ძალიან მნიშვნელოვანი დამსაქმებელია თეგეტა მოტორსი, ვიზიტის დროს ექსპერტებს საშუალება ჰვქონდათ ენახათ „თეგეტა მოტორს“-ის მხარდაჭერით შექმნილი ლაბორატორია, რამაც ნამდვილად მოახდინა შთაბეჭდილება ექსპერტებზე.

უნივერსტეტს აქვს ძალიან მოქნილი ელქტრონული სისტემები, მაგალაითად: E-learning და lectori.ge. სადაც სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ წიგნებზე, ასვე ლექციებზე და სასწავლო მასალაზე. ინფორმაციას იღებენ ნიშნებზე (შფასებებზე). ნიშნები იტვირთება ერთი კვირის განმავლობაში, სტუდენტებმა აღნიშნებს, რომ ნიშნებს ძალიან მალე ტვირთავენ ლექტორები ამასთან მიმართებაში არ შექმნიათ პრობლემა. უნივერსტეტის ძალიან საიტერესო ინიციატივაა ახალი პლატფორმა GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება;

3. კვლევის ანგარიში;
4. ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

1. GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრანტების - სამაგისტრო ნაშრომების - ხელმძღვანელები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური და დარგობრივი პრქტიკული ცოდნით, რაც კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს მაგიტრანტს მიიღოს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა ხელმძღვანელებისაგან, არამედ გაიზიაროს მისი პრაქტიკული გამოცდილებაც. მაგისტრანტებს უტარდებათ საკონსულტაციო დაგეგმილი შეხვედრები, ასევე კვლევის და ნაშრომის წერის პროცესში მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ ხელმძღვანელს. მაგისტრანტი თემას არჩევს ისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე, თემის ხელმძღვანელთან კონსულტაციების შემდეგ. მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციები გაწერილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება;
2. კვლევის ანგარიში;
3. ინტერვიუები მაგისტრანტებთან, თემის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება
☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 აკადემიური და 8 მოწვეული პერსონალი (აქედან 7 მოწვეულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად), მათ შორის 14 პროფესორია. აკადემიური პერონალის კვალიფიკაცია დასტურდება პირად საქმეში არსებული სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, რომელიც ადასტურებს დარგში მათ კომპეტენციას, თითოეულ მათგანს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, საანგარიშო პერიოდში მათი მონაწილეობით შესრულებულია რამდენიმე საგრანტო პროექტი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უმრავლესობას გააჩნია როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის	

გამოცდილება, ისინი არიან საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრები, რეცენზენტები, სხვადასხვა სალექციო კურსების და მონოგრაფიული ნაშრომების ავტორები, რაც დასტურდება მათ პირადი საქმეებში წარმოდგენილი ინფორმაციით. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნითა და გამოცდილებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს პროგრამის განვითარების პროცესში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

სტუ-ში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და აფილირების ხელშეკრულების ფორმა. თითოეული აკადემიური თანამდებობის პირი, შესაბამის კონკურსში გამარჯვების შემდეგ, სტუ-სთან აფორმებს აფილირების ხელშეკრულებას.

პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შესაბამისი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შესაბამისია პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან, მათ შორის თანაფარდობა დაცულია. თითოეულ მაგისტრანტს ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და კომპეტენცია შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას. მაგისტრების რაოდენობა და მათი ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვა ურთიერთშსაბამისია.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მისი სამეცნიერო, პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში, პროგრამის განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაში, ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს პროგრამაზე სწავლისას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში.

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელიც, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. პერსონალის რაოდენობა საკმარისია ფაკულტეტის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები;
2. აკადემიური პერსონალის აქტივობა სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობის სერტიფიკატები;
3. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება https://gtu.ge/Stmm/Pdf/FAKULTETIS%20DEBULEBA+.pdf
5. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია;
7. პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსი, 2016 წლის 20 ივლისისაკადემიური საბჭოს დადგენილება №2092.

რეკომენდაციები

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ინდიკატორების შემოღება და გამოყენება, რათა განისაზღვროს პერსონალისთვის ტრეინინგების საჭიროებები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“. უნივერსიტეტის სტრატეგიიდან გამომდინარე, თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა. უნივერსიტეტი ატარებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას, იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგების ანალიზს აკადემიური და სამეცნიერო პროფესიული განვითარებისთვის.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს კარიერის დაგეგმვაში, სწავლა-სწავლებისა და სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიებში და სხვა.

სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად შექმნილია აუცილებელი მატერიალური-ტექნიკური ბაზა, მათ შორის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სასწავლო და კვლევითი აქტიობებისათვის აუცილებელი გარემო.

უნივერსიტეტი რიგ შემთხვევებში ფინანსურად უზრუნველყოფს და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ვორკშოფებში, ტრენინგებსა და გამოფენებში, ასევე, სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის კარიერულ განვითარებაზე.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოებულ კვლევებში, საგრანტო პროექტებში, სხვადასხვა ტრენინგებში და საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ასე, მაგალითად, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა პოლონეთი-საქართველოს ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლებითი აქტივობის მაჩვენებელი ხასიათდება მზარდი დინამიკით, რასაც ადასტურებს მათ მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, ადგილობრივ საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, გამოცემული სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები და სერთი-

ფიკატები. პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის განმახოციელებლების მიერ მომზადდა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსდა ახალი ელექტრონული სასწავლო მასალები და მეთოდური მითითებები.

უნივერსიტეტში შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც აფასებენ და აანალიზებენ კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, ასევე - საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხს. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და წახალისების მიზნით.

აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა, პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობს კვლევებში საერთაშორისო პროექტებში და კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სტატისტიკური მაჩვენებლები აკადემიური პერსონალის შესახებ http://my.gtu.ge/
2. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV, სამეცნიერო შრომები და კონფერენციებში მონაწილეობის მონაცემები;
3. ნტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით, კერძოდ, სასწავლო აუდიტორიებით, სასაწავლო-კვლევითი ლაბორატორიებით, კომპიუტერული კლასებით. პროგრამას ემსახურება კომპიუტერული ცენტრი, კომპიუტერული კლასი, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა თავისუფლია.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს პროგრამით

დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული ლიტერატურის მოძიება. სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რაც უახლესი სამეცნიერო მონაცემების გაცნიბის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო დარბაზები, სასწავლო აუდიტორიების და ლაბორატორიების ძირითადი ნაწილი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. ყოველივე ეს ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის. სტუდენტები ინფორმირებულნი არსიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალიერებისას დაფიქსირდა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიების, ლაბორატორიების და აღურვილობების) ნაწილი არის მოძველებული. მაგალითად, სატრანსპორტო ძრავების ლაბორატორიაში მოძველებულია მზომი ტექნიკური საშუალებები, არ არის დაცული შრომისა და უსაფრთხოების წესები, ლაბორატორიის ინტერიერი საჭიროებს შეკეთებას. აღნიშნულს აცნობიერებს ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და მომავალში გეგმავს დამატებით მოახდინოს სასაწავლო-კვლევითი ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის შემდგომი მოდერნიზება.

აღსანიშნავია, რომ “ERASMUS+”-ის პროგრამის ფარგლებში იტალიური მხარის მხარდაჭერით იქნა შეძენილი თანამედროვე მიკრო- და მაკრო- სიმულაციური მოდელირების პროგრამები როგორიცაა PTV VISSIM, VISUM და VISTRO. აღნიშნული პროგრამები ფართოდ გამოიყენება წამყვან ევროპულ ქვეყნებში, როგორც ურბანულ დონეზე სტატიკური მოდელირებისთვის ასევე ნებისმიერი სატრანსპორტო-საინჟინრო ჰიპოთეზის განსახორციელებლად.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით გერმანიის ქალაქ ვისრამის უნივერსიტეტთან მიმდინარეობს აქტიური სამუშაო ურთიერთობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სატრანსპორტო და მანქნანთმშენებლობის ფაკულტეტის, საავტომობილო ტრანსპორტის და
2. სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტების მატერიალურ ტექნიკური ბაზა;
3. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა https://gtu.ge/Library/About-Us/Info.php;
4. საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" http://opac.gtu.ge/
5. სამეცნიერო მონაცემთა ბაზები https://gtu.ge/Library/Databases/
6. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
7. ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან;
8. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და ინფრასტრუქტურის (ადგილზე ვიზუალურად და დისტანციურად) დათვალიერება.

რეკომენდაციები

1. აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლება და ლაბორატორიები აღჭურვოს შრომისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ელემენტებით. სასურველია შესაბამის ღონისძიებები შესრულდეს მომდევნო სასწავლო წლისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის ბიჯეტი სატრანსპორტო და მანქნანთმშენებლობის ფაკულტეტისსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტების განუყოფელი ნაწილია, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის მხარდაჭერა ფინანსური რესურსებზე ორიენტირებული ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობის რისკების შემთხვევაში საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიუჯეტიდან პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება სათანადო ფინანსური რესურსი, რადგანაც ტრანსპორტის მიმართულება მიიჩნევა პერსპექტიულად, აგრეთვე მოძიებულია საზღვარგრეთ პარტნიორი დაწესებულება, სადაც საგრანტო პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნება თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობები. ბიუჯეტში გაწერილია როგორც პერიოდული, ასევე ერთჯერადი ხარჯები, გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების და სხვა აქტივობების ხარჯები. პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

მოზიდული შემოსავლებიდან (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, სხვა შემოსავალი) ფინანსების საჭირო რაოდენობა მიმართული უნდა იყოს პროგრამის მდგრადობის/განვითარების ხარჯებზე, რათა მოხდეს ლაბორატორიების და კომპიუტერული კლასების შესყიდვა/მოწყობა, საბიბლიოთეკო ფონდის განახლება, ინფრასტრუქტურის განახლება, და სხვ. ყოველივე აღნიშნული გააუმჯობესებს ყველა პროგრამისთვის გამოყენებული რესურსების მდგომარეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
2. სატრანსპორტო და მანქნანთმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი https://gtu.ge/Stmm/;
3. პროგრამის ბიუჯეტი;
4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია მომდევნო წლის პროგრამის/ფაკულტეტის ბიუჯეტში გაიზარდოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის (ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, კომპიუტერული/პროგრამული უზრუნველყოფა) განახლება-განვითარებაზე მიმართული დაფინანსება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის შეფასების მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტები: ➢ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი), რომლის თანახმად, ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება) მახასიათებლების შესაბამისობის დონე დადგენილ მოთხოვნებთან. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ის („ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“) სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე. წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: 1) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები (1.1. მომხმარებელზე ორიენტაცია, 1.2. ხელმძღვანელობის ლიდერობა, 1.3. თანამშრომელთა ჩართულობა, 1.4. მუდმივი გაუმჯობესება, 1.5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, 1.6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან) და 2) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (2.1.ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 2.2. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, 2.3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება, 2.4. სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, 2.5. მასწავლებლები/ლექტორები, 2.6. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა,

2.7. ინფორმაციის მენეჯმენტი, 2.8. საჯარო ინფორმაცია, 2.9. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება, 2.10. ხარისხის პერიოდული გარე უზრუნველყოფა).

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი), რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, მიზნები, შედეგები, მოცულობა კრედიტებში, სწავლების ენა, სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.) და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფასების კრიტერიუმებს.

პროგრამების შეფასების მიზნით იქმნება საფაკულტეტო კომისიები (უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები (№01-09-10/273, 17.11.2019; MES520001170216, 08.12.2020). ამ კომისიის წევრები არიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორები, დეპარტამენტების უფროსები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების პროცესის ორგანიზებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომელიც ადგენს შეფასებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს, პროგრამის ხარისხის შეფასების და განვითარების ეტაპებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლს და პროცესების თანმიმდევრობას. ამავე დოკუმენტის გამოყენებით დგინდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა; სასწავლო კურსები, რომლითაც ფასდება სწავლის შედეგის მიღწევა, და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან; შეფასების ინდიკატორები, ინსტრუმენტები და სხვ. აკრედიტაციის სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა (სქემა), რომელშიც განსაზღვრულია შესამოწმებელი/შესაფასებელი ასპექტები, შეფასების კრიტერიუმები, ინდიკატორები/მტკიცებულებები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესასრულებელი დავალებები, წარსადგენი დოკუმენტაცია და პერიოდულობა. პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა (დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები). მიუხედავად გამართული ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლებისა, წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ვიზუალური დათვალიერებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა შეფასების სისტემის გასაუმჯობესებელი - ძირითადად, მოქმედი რეგულაციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული და პროგრამის განხორციელებისა და განვითარების შესაძლებლობებზე გავლენის მქონე ასპექტი. კერძოდ: შეფასების პროცესში ხდება ცალკეული ასპექტების შესწავლა, რაც არ იძლევა შეფასების შედეგებზე სწორი რეაგირების, რემონენდაციების და შესრულების კონტროლის შესაძლებლობას. აუცილებელია პროგრამის ეფექტიანობის და მდგრადობის მრავალმხრივი კომპლექსური შეფასება-ანალიზი (მათ შორის, რესურსების საკმარისობა და ხარისხი; პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტები, რისკები, პროგრამის განვითარების შესაძლებლობები/მექანიზმები; პროგრამის (მათ შორის, დადგენილ ვადაში პროგრამის დაძლევის) დინამიკა; პროგრამის ხელმძღვნელის/ხელმძღვანელების მიერ პროგრამის შეფასება; უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან შედარება, სხვ.). ასევე, პროგრამის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რამდენიმე საუნივერსიტეტო რეგულაციაში ცალკეული ცვლილებების აუცილებლობა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული 2 რეკომენდაციის საფუძველი:

რეკომენდაცია #5 *(აუცილებელია მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესების მომწესრიგებელი რეგულაციების სრული იმპლემენტაცია, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით)* - უნივერსიტეტს აქვს გამართული ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლები, გასაუმჯობესებელ ასპექტს კი წარმოადგენს მოქმედი რეგულაციების არასრული იმპლემენტაცია (მათ შორის, პროგრამის ეფექტიანობის და მდგრადობის მრავალმხრივი კომპლექსური შეფასება-ანალიზის, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტების რისკების, პროგრამის განვითარების შესაძლებლობების/მექანიზმების, პროგრამის დინამიკის, უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების, მიღებული შედეგების გამოყენების მიმართულებით). რეკომენდაცია შესრულებული იქნება, თუ შიდა შეფასების (პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების) პროცესში დაწესებულება უზრუნველყოფს ყველა მის მიერ დადგენილი მიდგომისა და მექანიზმის გამოყენებას. ამ მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს როგორც დაწესებულების რეგულაციებში აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური მექანიზმები და პროცედურები, ისე დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში დაფიქსირებული მზაობა გაითვალისწინოს რეკომენდაცია პროგრამის შიდა შეფასებისა და განვითარების პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაცია #5 ნაწილობრივ გადატანილია 5.3. ქვესტანდარტის რეკომენდაციის ნაწილში, ნაწილი კი - წინამდებარე ქვესტანდარტის პროგრამის განვითარებისთვის რჩევების ნაწილში. ქვესტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი, რადგან ამ ეტაპზე სრული შესაბამისობა დადასტურებული არ არის.

რეკომენდაცია #6 *(კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან, განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში)* - ექსპერტთა ჯგუფი ეჭვქვეშ არ აყენებს უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციული და სხვა პროცესების განხორციელებას მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით. რეკომენდაცია გულისხმობს არა უნივერსიტეტის საქმიანობის შეუსაბამოდ განხორციელებას, არამედ 2 საუნივერსიტეტო რეგულაციაში კონკრეტული ჩანაწერების კორექტირების საჭიროებას, კერძოდ: „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან (მ. 52[1], პ.7) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა შეიცვალოს მაგისტრატურის დებულებაში (მ.6, პ.6.9) საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებასთან დაკავშირებული ჩანაწერი“ და ამავე კანონთან (მ.50[1], პ.2) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა დაკორექტირდეს საკრედიტაციო განაცხადის დანართად წარმოდგენილ „სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში“ (მ.3., პ.3.18) არსებული ჩანაწერი, რომელიც ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განახლებულ „სტუდენტთა კონრინგენტის ფორმირებისა და მობილობის წესში“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილებები №01-05-04/29, 13.02.2019 და №01-05-04/231, 21.07.2019) საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე მაგისტრატურეში ჩარიცხვის მარეგულირებელი ჩანაწერები (მ.1, პ.10) სრულად შეესაბამება კანონმდებლობას, ამავდროულად, მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული ჩანაწერი (მ. 4, პ. 21) საჭიროებს კორექტირებას. არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულება განმარტავს, რომ დაწყებულია საუნივერსიტეტო რეგულაციების სამართლებრივი ექსპერტიზაა და ცვლილებების პროექტების შემუსვება და ამ მიმართულებით პროცესები გრძელდება, თუმცა ამ ეტაპზე არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება;

2. ინტერვიუს შედეგები;
3. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
4. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
5. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (№01-09-10/273, 17.11. 2019 და MES520001170216, 08.12.2020) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ; აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (სქემა);
6. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, მაგისტრანტების კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები;
7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია;
8. მაგისტრატურის დებულება;
9. სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია (თვითშეფასების ანგარიშის დანართი, ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი).

რეკომენდაციები

1. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან, განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარისში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის გარე შეფასებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის N493 გადაწყვეტილებით ტრანსპორტის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია და გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით. ამავე დროს, არსებობს პროგრამის გარე შეფასებები, რომლიც არ აისახა თვითშეფასების ანგარისში, მაგრამ არის დოკუმენტურად დადასტურებული დარგობრივი ორგანიზაციების ოფიციალური წერილებით (მაგ., სს საქართველოს რკინიგზა; სს „თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა“; შპს „რუსთავის ვაგონმშენებელი კომპანია“). დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ გამოკითხვებში, შეიმუშავეს რეკომენდაციები, განიხი-

ლეს პროგრამის პროექტი, რაც გახდა დადებითი შეფასების (დასკვნების) საფუძველი. პროგრამის შემუშავებაში და შეფასების პროცესში პარტნიორების ჩართულობის შესახებ ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა.

ამადე დროს, შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა თუ რამდენად რეგულარულად ხდებოდა პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში (2012-2020) - როგორი იყო შეფასების პერიოდულობა, ვის მიერ და როგორ შეფასდა პროგრამა, რა რეკომენდაციები იყო შემუშავებული/გათვალისწინებულ და ა.შ.; მონაწილეობდნენ თუ არა პროგრამის გარე შეფასებაში უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ანალოგიურ პროგრამას ახორციელებენ; რა ცვლილებები განხორციელდა გარე ხარისხის შეფასების შედეგად და სხვ. მითითებული გარემოებები მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და თანმიმდევრული განვითარებისათვის, მაგ., პერიოდული გარე შეფასება უზრუნველყოფს სხვადასხვა წელს მიღწეული შედეგების შედარებას და პროგრამის პროგრესიის დადგენას, გარე შეფასებაში უცხოეთის უსდ-ების მონაწილეობა ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკების გაცნობას, პროგრამების ჰარმონიზაციის და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების (მაგ., გაცვლითი პროგრამების განხორციელების), შესაძლებლობას და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უკუკავშირის ამსახველი მასალა (სს „საქართველოს რკინიგზა“; სს „თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა“; შპს „რუსთავის ვაგონმშენებელი კომპანია“);
2. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შეფასებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით (№01-09-10/273, 17.11. 2019 და MES520001170216, 08.12.2020) შექმნილი საფაკულტეტი კომისია (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლელო პროგრამების კურატორები, დეპარტამენტების უფროსები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები). პროგრამის შეფასების პროცესი ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, შეფასებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სხვა რეგულირდება დოკუმენტით „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები", რომლიც, ასევე, ადგენს პროგრამის ხარისხის შეფასების ეტაპებს და შეფასების ერთწლიან ციკლს. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულ სამუშაო გეგმაში (სქემაში) მითითებულია შესამოწმებელი/შესაფასებელი ასპექტები, შეფასების კრიტერიუმები, ინდიკატორები/მტკიცებულებები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესასრულებელი დავალებები, წარსადგენი დოკუმენტაცია და პერიოდულობა და სხვ. პროგრამის შეფასების მექანიზმებში მოიაზრება პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება (სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის ათვისების შედეგების შედარება), ასევე პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი კრიტერიუმებით, პროგრამის შეფასება სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება და სხვ.

ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება კითხვარების მეშვეობით დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის სტუდენტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე გასაუბრების შედეგებით. ჩატარებული გამოკითხვებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მომავალში: 1) გაიზარდოს გამოკითხულთა რაოდენობა (სულ 34 მაგისტრანტი/გამოკითხულია 5; სულ 32 კურსდამთავრებული/გამოკითხილია 9; სულ 9 თანამშრომლობის მემორანდუმი დამსაქმებლებთან/გამოკითხულია 3), რაც გაზრდის ანალიზისთვის გამოყენებული ინფორმაციის მოცულობას და გამოკითხვების შედეგების ანალიზის შედეგების ობიექტურობას; 2) გადაიხედოს გამოყენებული კითხვარები მაგისტრატურისთვის რელევანტური კითხვებისა და შესაძლო პასუხების ნაწილში (მაგ., არარელევანტურია 2-წლიანი პროგრამისთვის: კითხვა „სწავლების რომელი წლიდან (კურსიდან) თვლით მიზანშეწონილად პრაქტიკის/კვლევის განხორციელებას" და შესაძლო შესაძლო პასუხი „III კურსი / IVკურსი" და ა.შ.). ასევე, სამაგისტრო პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტების შესწავლა, როგორიცაა მაგისტრანტების დამოკიდებულებები (სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების საქიანობის და მაგისტრანტებთან მათი მუშაობის ხარისხი, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან წვდომა და საკმარისობა, მაგისტრანტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სხვ.) და მაგისტრანტების ხელმძღვანელების მოსაზრებები და საჭიროებები. ექსპერტებთან გასაუბრების ფორმატში პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტეს, რომ პროგრამის შეფასება ტარდებოდა სისტემატურად და მოიცავდა მეცადინეობების ხარისხის შემოწმებას და გამოკითხვებს, რაც, ასევე, დაადასტურეს მაგისტრანებმა და პროგრამის კურსდამთავრებულებმა.

წინამდებარე ქვესტანდარტთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი: დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება 2012 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში პროგრამის პერიოდულად დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (მაგ., უცხოეთის რომელი უსდ-ების პროგრამებთან და რა პერიოდულობით ხდებოდა პროგრამის დადარება, როგორი იყო შესწავლის შედეგი, რა იყო გათვალისწინებული პროგრამაში და სხვ.). ასევე, არ დგინდენა პროგრამის მდგრადობის და ეფექტიანობის შეფასების, მონიტორინგის შედეგების, ინფორმაციის სისტემური ანალიზის გამოიყენება, მათ შორის 2013, 2014, 2016, 2017 და 2018 წლებში პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. აუცილებელია შიდა შეფასება მოიცავდეს არა ცალკეული ასპექტების (მაგ., პროგრა-

მის შინაარსი, სასწავლო პროცესის ხარისხი და ა.შ.) შესწავლას, რაც არ იძლევა შეფასების შედეგებზე სწორი რეაგირების, რემონენდაციებისა და შესრულების კონტროლის შესაძლებლობას, არამედ მთლიანად პროგრამის კომპლექსურ და სისტემურ ანალიზს ყველა იმ მიდგომის და მექანიზმის გამოყენებით, რომელიც გათვალისწინებულია დაწესებულების მოქმედ რეგულაციებში და რომლებსაც თავად უნივერსიტეტი ხარისხის კონტროლის და პროგრამის გაუმჯობესების ეფექტურ მექანიზმად (მაგ., პროგრამის მდგრადობის შეფასება, SWOT-ანალიზის, PDCA პრინციპის, სხვ.) მიიჩნევს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული 2 რეკომენდაციის საფუძველი:

რეკომენდაცია #7 *(სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობა, მდგომარეობა, უსაფრთოხოდ გამოყენების შესაძლებლობა) მრავალმხრივი და ობიექტური შეფასება, შედეგების ანალიზი, ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა)* - დასკვნის პროექტში არსებულ ჩანაწერს დაემატა რეკომენდაცია დაწესებულებაში არსებული მიდგომებისა და მექანიზმების იმპლემენტაციის შესახებ, რაც შინაარსობრივად არ ცვლის უკვე არსებულ რეკომენდაციას და წარმოადგენს დაწესებულების მიერ გაზიარებული (5.1. ქვესტანდარტის) რეკომენდაციის ნაწილს. საბოლოო სახით რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: *„ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის მდგომარეობის და უსაფრთოხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესიის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული იმ მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.“.* უცვლელი რჩება პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ობექტური შეფასების და რეაგირების შესახებ რეკომენდაცია, რომელსაც ეხება არა ზოგადად პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობას/საკმაროსობას, არამედ ტექნიკური რესურსის (აღჭურვილობის, ინფრასტრუქტურის და ა.შ.) უსფრთხოდ გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას (მაგ., სატრანსპორტო ძრავების ლაბორატორის მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს უსაფრთხოდ მის გამოყენებას), რაც მიღწევადია ლაბორატორიული აღჭურვილობის განახლება-გაძლიერებით, შეფასების პროცესში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით და შესაბამისი სამუშაოების შესრულებით.

რეკომენდაცია #8 *(პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით)* - დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ და დარჩა უცვლელი.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები, აქვს მათი შესრულების მზაობა და ხედვა, ასევე ქვესტანდარტთან სრული შესაბამისობის მიღწევის შესაძლებლობა, ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ქვესტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება;
2. ინტერვიუს შედეგები;
3. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);

4. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
5. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (№01-09-10/273, 17.11.2019 და MES520001170216, 08.12.2020) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ;
6. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (სქემა);
7. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
8. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და მაგისტრანტების გამოკითხვის ანკეტები და კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები.

რეკომენდაციები

1. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის მდგომარეობის და უსაფრთოხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესიის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული იმ მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;
2. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☒		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

„ტრანსპორტი“, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☒		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ჯუმბერ ჩოგოვაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ზაზა ჟორჟოლიანი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მზევარ გოგილავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ თავხელიძე